სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაკალავრების კმაყოფილების კვლევა
2023-2024 სასწავლო წელი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა. უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა რესურსების ურთიერთქმედებას სწავლის შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების სწავლის დონის ამაღლებაზე. რადგან სტუდენტს თუ ექნება საშუალება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტში განხორციელდება პოზიტიური ცვლილებებები, სტუდენტს გაეზრდება მოტივაცია და თავდაჯერებულობა, რაც შედეგად აისახება მათ სასწავლო საქმიანობაში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

1. კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა, რომელსაც დაემატა კითხვები დამატებითი პროგრამების შესახებ, კითხვების ნაწილი მოდულების სახით იქნა წარმოდგნილი. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი (მათ შორის, ბაკალავრების კვლევა პროგრამული და საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილებასთან დაკავშირებით). კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ბაკალავრების მონაწილეობით ელექტრონული პლატფორმა MOODLE-ის პროგრამის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

გამოკითხვა ჩატარდა 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს.

კვლევა ითვალისწინებდა:

ა) კვლევის შედეგების იდენტიფიცირება და მიგნებების გამოკვეთა.
ბ) ინსტიტუციური ხასითის მიგნებების დადარება გასული წლის კვლევებთან.
გ) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

დ) ძლიერი მხარეების შენარჩუნება და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავება.
ე) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.
ვ) სტუდენტებისთვის შედეგების გაცნობა.
ზ) კვლევის შედეგების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში.

ბაკალავრების კმაყოფილების კვლევა

კვლევის მიზანი და ამოცანები

1.უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულების განსაზღვრა;

2. სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

3. კვლევის ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების იდენტიფიცირება და გასული წლის კვლევის შედეგებთან დადარება.

4. ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალვრიატი და კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ბაკალავრების მონაწილეობით Coogle-Draive-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენთტა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

გამოკითხვა ჩატარდა 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს. ინსტიტუციური ხასითის ზოგადი მიგნებები დადარდებოდა გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებს (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე). გამოიკვეთებოდა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და ეცნობებოდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

უნივერსიტეტის მასშტაბით ბაკალავრების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა უნივერსიტეტში მოქმედი ოთხივე ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის საბაკალავრო საფეხურის 129 სტუდენტი. მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვაძლევს:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 38%
- იურიდიული ფაკულტეტი - 27,9%;

- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 17,1%;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 17,1%.

1. ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესახებ?

პროგრამა პროფესიის შერჩევისას გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის განვითარებაში დამეხმარა

- დიახ - 79,8%;
- ნაწილობრივ - 20,2%;
- არა.

✓ საინტერესო მიგნებაა, რომ პროგრამის სტრუქტურის, მიზნების, სწავლის შედეგების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრამ სტუდენტს სწორი მიმართულება მისცა მისთვის სასურველი პროფესიის შერჩევისათვის. სწორედ, აბიტურიენტებისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის საშუალებით მუდმივად მოიპოვება ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი აკრედიტებული პროგრამების შესახებ. წელს ამ საკითხით კმაყოფილების პროვენტული მაჩვენებელი გაზრდილია.

პროგრამიდან შეძენილი ცოდნის საფუძველზე განმივითარდა:

- სწავლის უნარი - 47,3%;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - 88%;
- დასკვნის უნარი - 36%;
- დამოუკიდებლობის უნარი - 34,1%;
- კომუნიკაციის უნარი- 40,3%
- ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - 34,9%.

✓ საინტერესო მიგნებაა, რომ სასწავლო კურსების შესწავლამ სტუდენტი გაიყვანა იმ სწავლის შედეგებზე, რაც საბოლოოდ აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში, რაც თავისთავად დარგობრივთან ერთად ზოგადი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასაც მოიცავს. საინტერესოა ის მაღალი პროცენტული მაჩვენებლებიც, რომლებიც ითვალისწინებენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, სწავლის უნარს, კომუნიკაციის უნარს, დამოუკიდებლობის უნარს და რაც მთავარია, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, იმ შემთხვევაში, რომელი საგანმანათლებლო პროგრამებისთვისაც მიღწევადია ეს სწავლის შედეგი. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი მიღებული ცოდნასთან დაკავშირებით, პროცენტულად მაღალია გასული წლის კვლევებთან შედარებით.

პროგრამა პროფესიული ეთიკის დაცვის უნარების განვითარებაში დამეხმარა

- დიახ - 81%;
- ნაწილობრივ - 17,8%;
- არა - 1%.

✓ ლოგიკურია, მიგნება, რომ პროგრამა პროფესიული ეთიკის უნარების განვითარებაში დაეხმარა სტუდენტებს, რადგან პროფესიული ეთიკის ცოდნა და მისი დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელია შრომის ბაზარზე დასაქმებისა და ადგილის დასამკვიდრებლად, აგრეთვე პროფესიული ეთიკა, როგორც სასწავლო კურსი, გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსის სახით რამდენიმე საბაკალავრო პროგრამაში.

პროგრამა სამომავლო სამოქმედო გეგმების შედგენაში დამეხმარა

- დიახ - 78,3%;
- ნაწილობრივ - 20,9%;
- არა - 1,7.

✓ საინტერესო მიგნებაა, რომ პროგრამა სტუდენტებს სამომავლო სამოქმედო გეგმების შედგენაში დაეხმარა, რადგან პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტს უყალიბდება მოსაზრება, სწავლის გაგრძელების შესახებ უმაღლესი განათლებლის შემდეგ საფეხურზე ან იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული განვითარების კუთხით კვალიფიკაციის ამაღლებას პრაქტიკული მიმართულებით.

2. იყენებდით თუ არა პროფესორთან ინდივიდუალური მუშაობის ფორმას კონსულტაციების ცხრილის შესაბამისად?

- დიახ - 44,2%;
- ნაწილობრივ - 34,9%;
- არა - 20,9%.

✓ საინტერესო მიგნებაა, რომ სტუდენტების შედარებით მცირე მაჩვენებელი 29,9% არ იყენებდა პროფესორთან კონსულტაციებს. ამ საკითხის ასახსნელად, ფვიქრობთ, სტუდენტს არ დასჭირვებია კონსულტაციები და არ მიუმართავს პროფესორისთვის. საკონსულტაციო საათების ზუსტი დრო და ადგილი გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, ცხრილების სახით განთავსებულია დეკანატებში საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნულ პუნქტთან დაკავშირებით კონსულტაციების მიღებით დაინტერესებული სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია.

3. რის გაუმჯობესებას ისურვებდით სასწავლო პროგრამის ფარგლებში?

პრაქტიკას
კმაყოფილი ვარ
არაფრის, ყველაფერი კარგია
ტექნოლოგიების კუთხით განვითარებას
პრაქტიკული პროცესის გამრავალფეროვნება
კომპიტერული ტექნიკის და კომპიტერული ლაბორატორია კაი იქნებოდა
კომპიუტერების უფრო ძლიერი რადგან არ გაუჭირდეს დაპროგრამების ენების გახსნა სწრაფად ასევე გვინდა კომპიუტერის ლაბაორატორია სადაც დაწვრილებოთ შევისწავლით კომპიუტერის დაშლა აწყობას.
თეორიული სწავლის პრაქტიკაში უფრო მეტად გამოყენებას

კურსზე განხრის არჩევა რომ შეგვეძლოს
არაფერის
მეტ პრაქტიკულ საველე პრაქტიკას
ყველაფერი მომწონს და მაწყობს)
პრაქტიკული სამუშაოები
არაფრის
ყველაფერი იდეალურიად არის
ჯერ ჯერობით არაფერს
კმაყოფილი ვარ პროგრამების სწავლებით
ვფიქრობ რომ ჩემთვის ეს პროგრამა სასურველია უკვე
იურიდიული ფსიქოლოგიის საგნად დამატება
ყველაფერი მაწყობს
არაფრის გაუმჯობესებას ყველაფერი იდეალურია
პრაქტიკების დამატებას
კმაყოფილი ვარ სასწავლო პროგრამით
ვისურვებდიი ბიბლიოთეკაში იურიდიული სამრთლის წიგნის ნახვას
გრამატიკული მეტყველების განვითარება და ქართული ენის კარგად ათვისება
ბიბლიოთეკაში იურიდიული წიგნების გამონაკლისი
უფრო მეტი იურიდიული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში
უფრო მეტი იურიდიული ლიტერატურა გვქონდეს ბიბლიოთეკაში .
ინფრასტრუქტურულ საკითხებს უფრო მეტად მივაქცევდი ყურსდღებას.
მეტი პრაქტიკული სამუშაობის დანერგვას სასწავლო პროცესში
მეტ პრაქტიკულ სამუშაოებს
ყველაფერი გათვლილი და მოწესრიგებულია არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი კმაყოფილივარ
პრაქტიკული ნაწილის კიდევ უფრო ხშირად გამოყენება
სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული სახემძღვანელოებების რაოდენობის გაზდა
ყველა სტუდენტს თანაბარი ფორმით და ერთდროულად მიეწოდოს ის ახალი ინფორმაცია
რომელიც მათთვის სიახლეა
პრაქტიკის
უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაოები, და კომუნიკაცია სხვა ორგანიზაციებთან
როგორცპრაქტიკა
დამატებით პროგრამებს
პრაქტიკული სამუშაოების
სასწავლო პროგრამის ფარგლებში არაფრის გაუმჯობესებას ან შეცვლას არ მსურს, რადგან
სასწავლო პროგრამით ვარ ძალიან კმაყოფილი
ჩემი აზრით პროგრამა კარგად არის დამუშავებული და ცვლილებების შეტანა არ არის საჭირო .
კონკრეტულად იმ საგნების გავლა რაც დაკავშირებულია ჩვენ პროფესიასთან
ვისურვებდი სალექციო ფორმატის მრავალფეროვნებას
ენების გაფართოებული სწავლა.
ემგონი ჯერ არაფერს
თეორიასთან ერთად პრაქტიკული სამუშაოები
უფრო მეტი სიახლეები კერძოდ ახალი შეხვედრები ისეთ პიროვნებებთან, რომლებიც
განვითარებული არიან ამ მხრივ. ასევე ახალი სტანდარტების სწავლებაზე თუ გადავალთ
ამჟამად კონკრეტული პასუხი არ მაქვს ამის შესახებ მაგრამ გავაკეთებ ის რასაც ჩემი
ქვეყნისთვის ყველაფერი კარგად იყოს.
თეორიასთან ერთად მეტ პრაქტიკასა და პარალელებს თანამედროვე ბიზნეს სამყაროსთან.
აგრეთვე სიმულაციურ თამაშებს. ტრადიციული გამოცდების მოდიფიცირებასა და რამე უფრო
საინტერესო, მნიშვნელოვანი და ისეთი გამოცდის შემოტანას, რაც სტუდენტს დაეხმარება
ცოდნის უკეთ გამოვლენაში უფრო ყურადღებას გავამახვილებდი ჯგუფურად მუშაობას

ახალი მეთოდების გამოყენება
არაფერს. ვფიქრობ, სასწავლო პროცესი ეფექტურად მიმდინარეობა
ყველაფერი მომწონს, თუმცა მეტი პრაქტიკული გამოცდილების მიღება მომავალში უფრო დაგვეხმარება
მეტ პრაქტიკულ ჩართულობას
არაჩვეულებრივია ყველაფერი,უბრალოდ სალექციო დრო მეტად სწორად და პრაქტიკულადრომ გადანაწილდეს.
საგნების უმეტესობა ინგლისურ ენაზე რომ იყოს კარგი იქნება, უშუალოდ ინგლისურ ფილოლოგიის სპეციალობაზე
საგნების რაწმატებულად ჩაბარებას, ყველაფერი მშვენივრად მიდის.
კარგი იქნებოდა თუ თითოეული პროფესიის განვითარებისთვის დამატებითი, რაიმე კრეატიული ღონისძიებები ჩატარდება.
კომუნიკიცაიის უნარი აკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნებს
ყველაფერი ნორმალურია
მომწონს ეს სასწავლო პროგრამა და ამ ეტაპზე, არაფრის გაუმჯობესებას არ ვისურვებედი.
მეტ პრაქტიკულ დავალებებს და ჩვენს ფაკულტეტთან მაქსინალურად მიახლოვებულ საგნებს.
ამჟამად არაფრის
მეტ პრაქტიკულ გასვლებს დავამატებდი
მოტივირებული ლექტორი ქმნის მოტივირებულ სტუდენტს , დამატებითი სამუშაოები სტუდენტებზე, რომელთაც უჭირთ ცოდნის მიღება არ იქნებოდა ურიგო.
ყველაფრით კმაყოფილი ვარ ☆
ახალი ინფორმაციის სწრაფად დამახსოვრების, ენის პრაქტიკულად გამოყენების უნარების განვითარებას ვისურვებდი.
მეტი საინტერესო აქტივობებს სწავლის პროცესში
სასურველია სემინარებში უფრო მეტად იყოს კითხვა-პასუხის რეჟიმი ჩართული ვიდრე დაზეპირებულის გადმოცემა. ასევე, თვალსაჩინოებების გამოყენება (მუზეუმი, ექსკურსია,მოკლემეტრაჟიანი ფილმი, პრაქტიკული სამუშაო), მეტი უშუალო კავშირი შესასწავლ საგანთან, რაც ფილოლოგებს უფრო მეტად დაგვეხმარებოდა ამ დიდი მასალის ათვისებაში. ძალიან კარგი იქნებოდა საკუთარი ცხრილის დაორგანიზებაში სტუდენტების ჩართულობაც, რადგან სკოლის მოსწავლეები აღარ ვართ და ზოგიერთს გვიწევს არსებობისთვის შრომა, შესაბამისად, ზოგჯერ გვიწევს არჩევანი გავაკეთოთ სამსახურსა დასწავლას შორის.
ყველაფრით კმაყოფილი ვარ
თეორიული ნაწილის მაგივრად მეტ პრაქტიკას შემოვიღებდი რადგან ჩემიი აზრით პრაქტიკაშიი უფრო მეტს სწავლობ ვიდრე უბრალოდ დაზეპირებული ტექსტებოთ
მეტ შეხვედრებს უცხო ენათა და ქვეყანათა წარმომადგენლებთან, რადგან უფრო მეტადგანვავითაროთ ჩვენი ცოდნა.
ყველაფრით კმაყოფილი ვარ
ლექციების შუალედში კუთვნილი 10 წუთი შესვენების გამოყენებას
ჩემთვის ყველაფერი კარგია და მაღალ დონეზე.
არაფრის , მომწონს ყველაფერი
ამჟამად არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი.
ჯერჯერობით არაფერს.
მეტი პრაქტიკა უფრო კარგი იქნებოდა
არაფრის, ყველაფერი ძალიან კარგადაა.
მთლიანობაში , პირადად მე კმაყოფილი ვარ , მთლიანი სასწავლოპროგრამით , მაგრამ ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა ბევრად უფრო რთული წიგნები. ასევე , უფრო მეტი საგანი ინგლისურ ენაზე, რათა უფრო მაღალი ცოდნის დონით მივიღოთ ბაკალავრის ხარისხი.
ინგლისურის ცოდნას ვისურვებდი მეტ აქტივობას სტუდენტებისთვის.

✓ საინტერესოა, რომ სტუდენტების უმეტესი უმრავლესობა საკმაოდ კმაყოფილია საუნივერსიტეტო გარემოთი, ლექტორების კვალიფიკაციით, დამოკიდებულებით, თუმცა გამოკვეთილია გარკვეული სურვილი პრაქტიკული კომპონენტისა და კიდევ უფრო ძლიერი კომპიუტერების დამატების საკითხზე, რაც შეეხება სტუდენტების დანარჩენ კომენტარებს, მისასალმებელია, რომ მათ პროგრამების შინაარსი ასე კარგად იციან. პროგრამებში არაფრის შეცვლა არ სურთ, ნაწილს უნდა უფრო მეტი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რისი მოსმენაც შეუძლიათ კონკრეტული პროგრამის, რომელზეც სწავლობენ თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში მოიპოვონ ინგლისურერენოვანი ფილოლოგიის პროგრამიდან.

დამატებითი (minor) პროგრამა.

გაეცანით, თუ არა უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს?

- დიახ - 82,2%;
- ნაწილობრივ - 15,5%
- არა - 2,3%;

✓ სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც სრულ სურათს აძლევს დაინტერესებულ პირებს უნივერსიტეტში მოქმედი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მისასალმებელია, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დაინტერესდა კატალოგით.

ძირითადი პროგრამის პარალელურად გაქვთ არჩეული დამატებითი პროგრამა?

- დიახ - 66,7%;
- არა - 33,3%

✓ რესპოდენტთა დიდ ნაწილს არჩეული აქვს დამატებითი პროგრამები, იმის შესაბამისად, ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა აძლევს თუ არა სტუდენტს დამატებითი პროგრააზე დარეგისტრირებისა და გავლის საშუალებას.

- **რომელი დამატებითი პროგრამა აირჩიეთ?**

რესპოდენტთა დიდ ნაწილს არჩეული აქვს დამატებითი პროგრამები:

✓ ისტორია
✓ ინგლისური
✓ ინფორმაციული ტექნოლოგიები
✓ ეკოლოგია
✓ აგრონომია
✓ ბიზნესის ადმინისტრირება
✓ მასწავლებლის მომზადების პროგრამა

- **რამ განაპირობა დამატებითი პროგრამის შერჩევა?**

✓ მსურს ძირითად პროგრამაზე სწავლით შეძენილი ცოდნა გამოვიყენო სხვა დარგშიც
✓ სურვილმა ინგლისურია ცოდნისა

- ✓ ასეი იყო საჭირო
- ✓ ეკოლოგისადმი ინტერესმა
- ✓ კრედიტების შევსებამ
- ✓ დაინტერესებამ
- ✓ ინტერესმა სფეროს მიმართ
- ✓ უფრო კარგად ენის სწავლის სურვილიმიყვარს ისტორია
- ✓ სამომავლოდ მუშაობისას ნასწავლი პრაკტიკაში გამოყენება
- ✓ მსურს სრულყოფილად შემესწავლა ბიზნეს სფერო
- ✓ საინტერესო მიგნებაა, რომ სტუდენტები გულწრფელად პასუხობენ კითხვას, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის დამატებითი პროგრამა. ჩანს მათი ავტონომიურობა გადაწყვეტილების მიღებისას

- **რამდენად თანხვედრაშია თქვენს მიერ არჩეული ძირითადი და დამატებითი პროგრამების სწავლის სფეროები?**
- დიახ - 48,1%;
- ნაწილობრივ - 29,5%;
- არა - 22,1%

- ✓ საინტერესო მიგნებაა, სტუდენტები საკმაოდ იშვიათ შემთხვევაში დამატებით პროგრამას ირჩევენ თავიანთი ძირითადი პროგრამისგან განსხვავებული მიმართულებით, უფრო ხშირად კი სპეციალობასთან მიახლოვებული სპციალობიდან. ამ შემთხვევაშიც რესპოდენტთა 48,1% დამატებითი პროგრამა არჩეული ჰქონდა ძირითადი სწავლი სფეროსთან მიახლოებული დამატებითი პროგრამიდან, ხოლო 29,5% კი - ნაწილობრივ ახლოს მყოფი დამატებითი პროგრამიდან. არა - უპასუხა 22,1%-მა.

- **გაგიმართლდათ, თუ არა მოლოდინი აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით?**
- დია - 57,4%;
- ნაწილობრივ - 24,8%;
- არა - 17,8%.

- ✓ სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ გაუმართლდათ ის მოლოდინები, რაც დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლებში იყო გათვალისწინებული, ხოლო იმ შედარებით მცირე ნაწილთან ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით უნდა ამოიხსნას ის მიზეზები, რატომ არ გაუმართლდათ მოლოდინი. ასეთი ჩაღრმავეული ინტერვიუები ხშირად იმართება რექტორის საათის ფარგლებში, სადაც სტუდენტებს რექტორის მიმართ აქვთ დიდი ნდობა და თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს.

- **მიაღწიეთ თუ არა დამატებითი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს?**
- დიახ - 53,5%;
- ნაწილობრივ - 26,4%;
- არა - 20,2%.
- ✓ სტუდენტების უმრავლესობა, დაახლოებით 53,5% აღნიშნავს, რომ მათ მიაღწიეს დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგებს, ნაწილობრივ მიაღწია 26,4%-მა, არა - 20,2%-მა. ამ ნაწილთან

ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით უნდა ამოიხსნას ის მიზეზები, რატომ ვერ მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, ამ შემთხვევაში საინტერესოა დამატებითი პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მოსწრების ანალიზი.

მობილობა.

1. **ხართ თუ არა მობილობით გამოსული სტუდენტი?**

- დიახ, შიდა მობილობით - 3%;
- დიახ, გარე მობილობით - 4%;
- არა - 93,%.

✓ სტუდენტთა მცირე რაოდენობა 4% მობილობითაა გადმოსული, ხოლო 3% კი აღნიშნავს, რომ შეიცვალა სპეციალობა შიდა მობილობის ფარგლებში. ამ შემთხვევაში დამატებითი კვლევვაა ჩასატარებელი, რა მიზეზებმა განაპირობა ახალი პროგრამის არჩევანი. გასულ წელთან შედარებით შემცირდა შიდა მობილობის განმახორციელებელი სტუდენტების რაოდენობა.

2. **რა იყო მობილობით გადმოსვლის მიზეზი?**

- სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხი - 18,3%
- უნივერსიტეტის ან საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის/ აკრედიტაციის გაუქმება - 7%
- საგანმანათლებლო პროგრამის სირთულე - 7%
- სპეციალობის შეცვლა - 6%
- ხელსაყრელი მდებარეობა - 7%
- ფინანსურად ხელმისაწვდომობა - 3%.

✓ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტთა დიდი რაოდენობა ჩვენ უნივერსიტეტში გადმოსვლის მიზეზად ასახელებს სწავლა/სწავლების მაღალ ხარისხის და ფინანსურად ხელმისაწვდომობას, რაც ცალსახად სტუდენტების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება.

ბიბლიოთეკა

1. **ხელმისაწვდომია თუ არა სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა?**

- დიახ - 82,2%;
- ნაწილობრივ - 15,5%;
- არა - 1,3%.

✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა 82,2% აფიქსირებს, რომ სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრად მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს ველოდებოდით სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის მხრივ. სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, 15,5% აფიქსირებს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილობრივ ხელმისაწვდომობას, ხოლო 1,3% სავალდებულო ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი, რაც უსიამოვნოდ გასაოცარია, რადგან სამეცნიერო ბიბლიოთეკის ანგარიშებიდან, აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესებიდან, ფაქტობრივი

მდგომარეობიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ფლობს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალებულო ლიტერატურას როგორც მატერიალური, ასევე გაციფრულებული სახით. აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ლიტერატურა ატვირთულია უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა Moodle-ის პროგრამაში.

2. გაკმაყოფილებთ თუ არა ბიბლიოთეკის სამუშაო გარემო?

- დიახ - 82,9%;
- ნაწილობრივ - 14,7%;
- არა -2,4%

✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი 82,9% აფიქსირებს ბიბლიოთეკის სამუშაო გარემოთი კმაყოფილებას, არც გასული წლის კვლევასთან შედარებით 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. სტუდენტთა გარკვეული, მცირე ნაწილი, 14,7% აფიქსირებს ბიბლიოთეკის სამუშაო გარემოთი უკმაყოფილებას. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა განთავსებულია უნივერსიტეტის სამივე კორპუსში და აქვს კომფორტული სამუშაო სივრცე, სამუშაო გრაფიკი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, რაც სტუდენტს სჭირდება სწავლება/სწავლის პროცესში.

3. სარგებლობთ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით?

- დიახ - 45%;
- ნაწილობრივ - 41,9%;
- არა - 13,2%.

✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი 41,9% ნაწილობრივ სარგებლობს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით, ნაწილი 13,2 არ სარგებლობს. ჩვენი აზრით, ეს სტუდენტები ჯერ არ ჩართულან პროექტების, საკონფერენციო თემების და სხვა მომზადების პროცესში. შესაძლებელია, ამას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ გარკვეულ საბაკალავრო პროგრამებსდ არ აქვთ საბაკალავრო ნაშრომი ან აქვთ არჩევითი სახით, სხვა სასწავლო კურსებთან დაჯგუფებული.

✓ რეალურად, წლების მანძილზე, უნივერსიტეტში როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები და ტრენინგები სამეცნიერო ბაზებთან წვდომასთან დაკავშირებით., რაც უახლოეს მომავალში დასჭირდებათ უმაღლესი განათლების ნებისმიერი საფეხურის სტუდენტებს. შესაძლებელია კითხვამაც დააფიქროს და დააინტერესოს სტუდენტები.

4. რამდენად სწრაფად ხდება ბიბლიოთეკაში საჭირო ინფორმაციით თქვენი უზრუნველყოფა?

- დიახ - 66,7%;
- ნაწილობრივ - 31,8%;
- არა - 0,5%

✓ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი 66,7% აფიქსირებს თავის მოსაზრებას, რომ ბიბლიოთეკაში სწრაფად ხდება საჭირო ინფორმაციით მათი უზრუნველყოფა.

31,8% აფიქსირებს, რომ ნაწილობრივ ეთანხმებიან აღნიშნულ დებულებას, ხოლო სტუდენტების 0,5% აფიქსირებს, რომ სწრაფად არ ხდება მათი მათი საჭირო რესურსით უზრუნველყოფა. საჭიროა სტუდენტების ინფორმირება ბიბიბლიოთეკის მომსახურების ვადებთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკაში შეკვეთის წარდგენიდან რამდენ სამუშაო დღეში უნდა მოხდეს სტუდენტისთვის საჭირო რესურსის მიწოდება ან რა მოცულობისაა სასწავლო რესურსი, რომ ამის მიხედვით მოხდეს სტუდენტისთვის მასალის გამზადება. ვფიქრობთ, საჭიროა სტუდენტების ინფორმირება, რომ სწორად შეაფასონ რამდენად დროულად ხდება მათი უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო მომსახურებით.

მოგვაწოდეთ რეკომენდაციები ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდისა და მომსახურების შესახებ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: სტუდენტთა რეკომენდაციები გადმოტანილია უცვლელად)

საუკეთესო
დამაკმაყოფილებელია
კარგია
არ ვიცი
მშვენიერია
მეტი წიგნი იყოს ხელმისაწვდომი
ყველაფერი რიგზეა
არ მაქ რეკომენდაცია:)
(პირველ კორპუსში) ბიბლიოთეკაში ხმაურია ხოლმე
იდეალურადაა ყველაფერი
სწავლის ხარისხი მაღალ დონეზეა
ყველაფერი ნორმის ფარგლებშია
კმაყოფილი ვარ
არანაირი
საუკეთესოაა
არაფერს რადგანაც ყველფერი იდეალურია
გავაუმჯობესებდი სწრაფ მიწოდებას წიგნებზე
წიგნების დეფიციტია და უკეთესი იქნება, თუ როგორც სასწავლო მასალები, ისე მხატვრულილიტერატურა დაემატება ახლა წიგნები რომ იყოს
რეკომედაციები არ მაქვს, რადგან კმაყოფილი ვარ ბიბლითეკაში წიგნადი ფონდით და ამფონდის ხელმისაწვდომობით
ვისურვებდი ბიბლიოთეკაში იურიდიული ფაკულტეტის წიგნების შეტანას და არაელეტქრონული ვერსია
უკეთესი იქნებოდა, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს წიგნი ყველა საგანში, ესგაუადვილებდა სტუდენტს ცხოვრებას.
იურიდიული ფაკულტეტის წიგნების შემოტანას და არა ელექტრონული ვერსია, რადგან ზოგიერთი წიგნი საერთოდ არაა ხელმისაწვდომი გარდა ელ.ფორმისა
ყველაფერი იდიალურად არის ვერაფერს ვერ შევცვლი
ბევრი საჭირო ლიტერატურის დამატება წიგნების სახით
კარგი იქნებოდა წიგნების რაოდენობა გაიზარდოს
გთხოვთ დაამატოთ ყველა სასწავლო იურიდიული ლიტერატურა მატერიალური სახით.
საჭიროა სასწავლო მასალასთან შესაბამისი ლიტარატურის ასებობა და ამასთანავე შიგნების შესაბამისი რაოდენობის არსებობა
თბილი გარემო და სწრაფი მომსახურება

წიგნების მოწოდების სისწრაფე
თუ შეიძლება მეტი ონლაინ ვერსიები იყოს
კმაყოფილივარ
ყველაფერი მაღალ დონეზეა
ბიბლიოთეკაში მომსახურება არის ძალიან კარგი .
გაიზარდოს დაბეჭდილი წიგნების რაოდენობა, რადგან რთულია ელ-ვერსიებიდან სწავლა.
ძალიან კარგი მონსახურებაა
ვფიქრობ სტუდენტისთვის საკმაოდ კომფორტული გარემოა შექმნილი იმისთვის რომ სტუდენტმა შეძლოს სხვადასხვა ლიტერატურის მოძიება და მისთვის საჭირო მასალების მიღება, მითუმეტეს ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტით, კომპიუტერებით და უამრავი საინტერესო წიგნებით.
წიგნებში უფრო მკაფიოდ და თანმიმდევრულად არ არის საჭირო გრძელი და გაურკვეველი პრეზენტაცია.
ყველაფერი კარგია
უკეთესი, თანამედროვე წიგნები რომ შემოიტანოთ, ბევრად უკეთესი იქნება, პლუს დაამატოთ სასწავლო, არსებული წიგნები (წიგნთა ფონდი გააამდიდროთ)
ჩვენი ბიბლიოთეკა კარგად ასრულებს თავის ფუნქციას
დიახ
ხარისხი კარგი აქვთ.რასაც ვისურვებდი ის არის, რომ უფრო ხანგრძლივი დროით შეგვეძლოს წიგნის წაღება და გამოყენება.
უფრო მეტი წიგნის შემოტანა,
კმაყოფილი ვარ ყველაფრით
მიყვარსს სჯუნის სამეცნიერო ბიბლიოთეკაა უკლებლივ ყველაფრით! ჩემთვის უნაკლოა
ვისურვებდი, რომ ბიბლიოთეკაში დამატებულიყო უფრო მეტი ინგლისური წასაკითხი წიგნები
არმაქვს ინფორმაცია
პრობლემა არასდროს შემქმნია, ამიტომ ვერ გეტყვით თუ რა არის გასაუმჯობესებელი.ჩემთვის ყბელაფერი იდეალურად არის
კარგი იქნება თუ უფრო მეტი წიგნი იქნება
ჩვენს ბიბლიოთეკაში ვნახე ყველა წიგნი, რაც ოდესმე დამჭირდა.

მატერიალური რესურსი

1. **გაკმაყოფილებთ თუ არა საუნივერსიტეტო გარემო?**

- დიახ - 76%;
- ნაწილობრივ - 22,5%;
- არა - 2,5%.

✓ სტუდენტთა გარკვეულწილად დიდი რაოდენობა კმაყოფილია საუნივერსიტეტო გარემოთი, ხოლო სტუდენტების მცირე ნაწილის უკმაყოფილობის მიზეზი კომენტარის სახით არ არის წარმოდგენილი. სასურველია, რექტორის საათის დროს სტუდენტებისთვის დაისვას ეს შეკითხვა.

2. **მეცადინეობებზე იყენებდით სასწავლო ტექნიკურ საშუალებებს (მონიტორი და სხვ.)?**

- დიახ - 75,2%;
- ნაწილობრივ - 19,4%;
- არა - 4,6%.

✓ სტუდენტთა გარკვეულწილად დიდი რაოდენობა აღნიშნავს, რომ სწავლების პროცესში იყენებდნენ ტექნიკურ საშუალებებს. მცირე ნაწილი კი მიუთითებს, რომ არ იყენებდნენ. ეს საკითხი დაზუსტდება მათ მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასებისას. სასწავლო კურსი ითვალისწინებდა თუ არა ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. მიგვაჩნია, რომ სწავლება/სწავლის თანამედროვე მიდგომების შესაბამისად, თითოეულ სასწავლო კურსში უნდა იყოს დემონსტრირების, თვალსაჩინოების, პრეზენტაციის წარმოდგენის აუცილებლობა

3. უნივერსიტეტში თავს უსაფრთხოდ გრძნობთ (ხანძრის, ჯანმრთელობის და სხვ. მხრივ)?

- დიახ - 89,8%;
- ნაწილობრივ - 10,1%;
- არა

✓ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები უნივერსიტეტში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.

4. ინფორმირებული ხართ საევაკუაციო გეგმის შესახებ?

- დიახ - 78,3%;
- ნაწილობრივ - 14%;
- არა - 7,8%.

✓ კითხვაზე, ინფორმირებული არიან თუ არა სტუდენტები საევაკუაციო გეგმის შესახებ, 78,3% ინფორმირებულია, ნაწილობრივ ინფორმირებულია 14%, უარყოფითი პასუხი 7,8% დასაფიქრებელია. მიუხედავ იმისა, რომ უნივერსიტეტში საევაკუაციო გეგმა განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებზე, ეტაპობრივად ტარდება იმიტირებული განგაში, რომელშიც მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება იღებს მონაწილეობას, მაინც მიგვაჩნია საჭიროდ მეტი ინფორმირებულობის მიზნით სტუდენტებს ჩაუტარდეთ შეხვედრები.

5. კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტში არსებული სამედიცინო დახმარებით?

- დიახ - 71,3%;
- ნაწილობრივ - 16,6%
- არა - 10,1%;

✓ კითხვაზე, კმაყოფილებია არიან თუ არა სტუდენტები სამედიცინო დახმარებით, 10,1% უარყოფითი პასუხი დასაფიქრებელია. უნივერსიტეტში ყველა კორპუსში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ემსახურებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. გასული წლის გამოკითხვისას ეს მასჩვენებლი 17% უტოლდებოდა. ამჯერად ეს მაჩვენებლი საკმაოდ შემცირებულია, თუმცა სასურველია, უნივერსიტეტს არ ჰყავდეს არცერთი უკმაყოფილო სტუდენტი, თუმცა ეს შეუძლებელია, ადამიანების ბუნებიდან გამომდინარე.

6. ინფორმაციის მისაღებად სარგებლობთ თუ არა უნივერსიტეტის ვებგვერდით და fb გვერდით?

- დიახ - 96,9%;

- ნაწილობრივ -3,1%;
- არა.

✓ მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა ძირითადი კონტინგენტი 96,9% სარგებლობს უნივერსიტეტის ვებგვერდით და ფეისბუქგვერდით, რადგან ნებისმიერი სიახლის გაზიარება, სწორედ მათი საშუალებით ხდება და სტუდენტებიც აქტიურად ერთვებიან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

გამოცდები

1. თქვენი აზრით, გამოცდის ჩაბარების რომელი ფორმატი იძლევა ცოდნის გამომჟღავნების საშუალებას?

- ზეპირი - 5,4%;
- წერითი - 34,1%;
- ელექტრონული - 17,1%;
- შერეული - 43,4%.

✓ კითხვაზე, თქვენი აზრით, გამოცდის ჩაბარების რომელი ფორმატი იძლევა ცოდნის გამომჟღავნების საშუალებას, არაერთგვაროვანი პასუხებია მიღებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები აცნობიერებენ სასწავლო კურსების მიხედვით, გამოცდის რომელი ფორმით შეძლებენ თავიანთი უნარების წარმოჩენას.

2. საკმარისია თუ არა ელექტრონული გამოცდისთვის მოცემული დრო?

- დიახ - 49,6%;
- ნაწილობრივ - 38,8%;
- არა - 11,6%

✓ კითხვაზე, თქვენი აზრით, ელექტრონული გამოცდისთვის მოცემული დრო, სტუდენტთა დიდი რაოდენობა არასაკმარისად მიიჩნევს დროის მონაკვეთს, რომელიც გამოცდას ეთმობა. ეს საკითხი განსახილველია ფაკულტეტებზე პროგრამებისა და სასწავლო კურსების ხელმძღვანელების ჩართულობით.

3. გამოცდის მსვლელობისას, შეგქმნიათ ტექნიკური პრობლემები?

- დიახ - 34,9%;
- ნაწილობრივ - 34,9%
- არა - 30,2%.

✓ კითხვაზე, გამოცდის მსვლელობისას შეგქმნიათ თუ არა ტექნიკური პრობლემა სტუდენტთა დიდი რაოდენობა დადებითად პასუხობს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა Moodle-ის პროგრამის ადმინისტრატორს, რომელმაც შეფერხების მიზეზად დაასახელა ლექტორების მიერ გადატვირთული სამუშაო ფანჯრები და ფაკულტეტის სხდომაზე აკადემიურ/მოწვეული პერსონალისთვის გასცა რეკომენდაციები მიზეზის აღმოსაფხვრელად.

4. **რამდენი ქულით შეაფასებდით საგამოცდო ცენტრის მუშაობას?**

1 3,1%	2 3,1%	3 17,8%	4 41,1%	5 34%

- ✓ ჯამურად, სტუდენტთა 75,1% , მე-4 და მე-5 პოზიციებზე პროცენტული მაჩვენებლით დადებითად აფასებს საგამოცდო ცენტრის მუშაობას.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები

1. **ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ?**

- დიახ - 67,4%;
- ნაწილობრივ - 29,5%;
- არა - 3,1%.

- ✓ კითხვაზე, ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ, გარკვეული ნაწილი 3,1% პასუხობს, რომ არ არის ინფორმირებული (რაც გასულ წლებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით შედეგები უნდა ეცნობოს საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს და დაიგეგმოს საკონსულტაციო შეხვედრები.

2. **რომელი საინფორმაციო საშუალებებით იღებთ ინფორმაციას უნივერსიტეტში სტუდენტური საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ?**

- საზღვარგარეთთან ურთიერთობის სპეციალისტის მიერ ორგანიზებული შეხვედრებით - 14,7%;
- უნივერსიტეტის ვებგვერდის - 40,3%
- fb გვერდის - 45%;
- საინფორმაციო დაფის -2,2%;

- ✓ საკითხთან დაკავშირებით შედეგები უნდა ეცნობოს საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს და დაიგეგმოს საკონსულტაციო შეხვედრები.

3. **რა მექანიზმებით ხდება უნივერსიტეტში საერთაშორისო გაცვლით პროექტებში სტუდენტთა შერჩევა?**

- კონკურსის წესით - 67,4%;
- აკადემიური მოსწრებით - 22,5%;
- და სხვ. – 10% (არ ვარ ინფორმირებული, არ ვიცი);

- ✓ აღსანიშნავია, სტუდენტთა გულწრფელი პასუხები საერთაშორისო გაცვლით პრექტებში სტუდენტთა შერჩევის მექანიზმების შესახებ. ისინი დარწმუნებული არიან უნივერსიტეტის

სამართლიან მიდგომებში, რომ სტუდენტთა შერჩევა ხდება კონკურსის პირობებით, რომელშიც აკადემიური მოსწრება მნიშვნელოვანი ფაქტორია.

4. მხარდაჭერის რომელ მექანიზმს ისურვებდით უნივერსიტეტის მხრიდან საერთაშორისო მობილობის ან პროექტებში ჩართვის მიზნით?

- ✓ ფინანსური მხარდაჭერა,
- ✓ დაფინანსება,
- ✓ არ მაქვს ინფორმაცია რადგან არ ვიყავი დაინტერესებული მობილობით;
- ✓ ცნობიერების ამაღლებას და ინფორმაციის სწრაფად მოწოდებას;
- ✓ კონკურსს;
- ✓ ფინანსურ მხარდაჭერას ასევე სამსახურიდან დროებით განთავისუფლებას.
- ✓ რაოდენობის გაზრდას, ქვეყნების დამატებას და აკადემიური მოსწრების გათვალისწინებას;
- ✓ რაოდენობის გაზრდა, ქვეყნების დამატება;
- ✓ არაფერს დავამატებდი
- ✓ მათ შესახებ ინფორმაციის დროული მოწოდება.
- ✓ პროექტების რაოდენობის გაზდას;
- ✓ მუშაობა
- ✓ როგორც არის
- ✓ ჯერჯერობით არ ვიცი
- ✓ ალბათ ყველა სტუდენტისთვი ყველაზე სასურველი არის საფინანსო მხარდაჭერა
- ✓ ჯერ ჯერობით არ ვაპირებ გაცვლითი პროგრამით სწავლის გაგრძელებას.
- ✓ კითხვაზე, მხარდაჭერის რომელ მექანიზმს ისურვებდით უნივერსიტეტის მხრიდან საერთაშორისო მობილობის ან პროექტებში ჩართვის მიზნით, სტუდენტების ნაწილი პასუხობს, რომ ფინანსურ მხარდაჭერას ისურვებდნენ. ,,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხიმგებლობის ნორმები“, ცალსახად ითვალისწინებს სტუდენტების ხელშეწყობის მექანიზმებს.

სჯსუ-ს თვითმმართველობა

1. ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ?

- დიახ - 69%;
- ნაწილობრივ - 32,2%;
- არა - 7,8%;

- ✓ კითხვაზე, ხართ თუ არა ინფორმირებული უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ, მიგვაჩნია, რომ უარყოფითი პასუხი აღარ უნდა გვქონდეს. უნივერსიტეტში სულ ახლახანს ჩატარდა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები და ვფიქრობთ ახალი გუნდი შემოიერთებს სტუდენტებს და აქტიურად ჩაერთვებიან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

2. მონაწილეობთ თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში?

- დიახ - 27,1%;
- ნაწილობრივ - 39,5%;
- არა - 33,3%.

- ✓ კითხვაზე, მონაწილეობთ თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მიგვაჩნია, რომ უარყოფითი პასუხი აღარ უნდა გვქონდეს. სტუდენტური თვითმმართველობა შემოიერთებს სტუდენტებს და აქტიურად ჩართავს სხვადასხვა ღონისძიებებში.

3. დაგვისახელეთ თვითმმართველობის მიერ განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება

- საინფორმაციო - 34,9%;
- საქველმოქმედო - 5%
- ექსკურსიები - 10,1%;
- სპორტული - 22,5%
- კულტურული - 10%
- სასწავლო შემეცნებითი - 17,1%

- ✓ სტუდენტებმა ჩამოთვალეს იმ ღონისძიებების უმეტესობა (არა ყველა), რომელიც ხორციელდებოდა თვითმმართველობის მიერ. ეს მიუთითებს სტუდენტური თვითმმართველობის აქტიურობაზე და უნივერსიტეტის მხრიდან მათ ხელშეწყობაზე.

4. მიგიმართავთ თუ არა თვითმმართველობისთვის რაიმე წინადადებით?

- არ მიმიმართავს - 82,2%;
- გამოვთქვი სურვილი მონაწილება მიმეღო მათ მიერ დაგეგმილ აქტივობაში, მაგრამ უარყოფითი პასუხი მივიღე - 5,4%
- შემითავაზებია კონკრეტული პროექტი - 12,4%

სტუდენტური სერვისები

დაასახელეთ სწავლაში ხელისშემშლელი ფაქტორი/ფაქტორები

- ✓ არ მაქვს
- ✓ არანაირი
- ✓ არ ვიცი
- ✓ დრო
- ✓ სამსახური
- ✓ არ არის
- ✓ არაფერი
- ✓ ოჯახური პირობები
- ✓ არ არსებობს
- ✓ არასაკმარისი დრო
- ✓ დროის არქონა
- ✓ ერთდროულად მუშაობა და სწავლა
- ✓ დროის უქონლობა სამსახურის გამო
- ✓ დრო, რადგან ვმუშაობ
- ✓ არაფერი მიშლის ხელს
- ✓ არანაირი ფაქტორი არ არსებობს
- ✓ არაფერი მიშლის ხელს
- ✓ არვიცი ახლა
- ✓ დროის დეფიციტი

- ✓ ლიტერატურის არქონა
- ✓ სამსახურიდან არ განთავისუფლება
- ✓ სასწავლო ცხრილების მოუწესრიგებლობა
- ✓ ცხრილების მოუწესრიგებლობა
- ✓ არაფერია ხელის შემშლელი
- ✓ არ მაქვს ხელის შემშლელი არანაირი ფაქტორი
- ✓ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების დეფიციტი
- ✓ ელექტრონული ვერსია
- ✓ მოტივაცია
- ✓ სამსახური :)
- ✓ ყველაფერი რიგზეა
- ✓ სწავლაში ხელისშემშლელი ფაქტორი არ არის
- ✓ სწავლაში არაფერის მიშლის ხელს.
- ✓ ზარის ხმა
- ✓ არ არის პასუხი!
- ✓ ალბათ ჩემს მდგომარეობაში მგზავრობა
- ✓ საათები
- ✓ ჯერ ჯერობით არაფერი

- ✓ ძირითადი არის სამსახურიარ მახსენდება მსგავსი.დროის ფაქტორი

- ✓ ოჯახის შექმნა,

- ✓ მუშაობადატვირთული გრაფიკიდროის უკმარისობახელის შემშლელს ვერ ვიტყოდი მაგრამ დამაბრკოლებელია, როდესაც მიწევს თან ვიმუშაოდა თან ვისწავლო.ნაკლება საინტერესოდ მიმდინარეობს ლექციები
- ✓ არ მაქვს
- ✓ სამსახური ,რომელიც ძალიან მჭირდება და არ შემიძლია დავკარგო.
- ✓ ამ ეტაპზე უნივერსიტეტის მხირდან არ არსებობს ხელშემშლელი ფაქტორები.
- ✓ არასწორად შერჩეული ლიტერატურა და საგნები.
- ✓ სამწუხარო ფაქტია ის, რომ არ ვმუშაობ ვინაიდან სწავლაში ხელი არ შემეშალოს , თუმცა მიანც მსურს ვიყო დამოუკიდებელი და მქონდეს ისეთი სამსახური, რაც სწავლაში ხელს არშემიშლიდა.
- ✓ **ხელისშემშლელი ფაქტორი არის ალბათ ის ,რომ სტუდენტების უმრავლესობა სოფლებიდან დადის და ლექციებს სრულად ვერ ესწრებიან. და ძალიან კარგი იქნებოდა რომ არსებობდეს საერთო საცხოვრებელი და გარკვეულ თანხას გადავიხდიდით თუ უფასო არ იქნებოდა**
- ✓ არაფერი, თუ სწავლა გინდა ხელს ვერაფერი შეგიშლის
- ✓ გათხოვება, აკადემიურის აღება
- ✓ გატვირთული გრაფიკი და სასემინარო დავალებები
- ✓ არ ვიცი
- ✓ დრო, ვერ ვანაწილებ ისე, რომ ვიყო პროდუქტიული
- ✓ არანაირი ასეთი ფაქტორი არ არსებობს
- ✓ არ არის არანაირი სწავლის შემშლელი ფაქტრი
- ✓ ტრანსპორტი
- ✓ შეიძლება იყოს ადამიანის ფინანსური მდგომარეობა, ოჯახური პრობლემები და სხვა.
- ✓ ოჯახური მდგომარეობა
- ✓ მონიტორების ნაკლებობა
- ✓ არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი არაა უნივერსიტეტის მხრიდან , თუ კი არის რამე , ესარის ჩემი პირადი პრობლემა. ჩვენი ფაკულტეტის ლექტორები მაქსიმალურზე მეტადცდილობენ გაგვიგონ და მხარი დაგვიჭირონ.
- ✓ ბევრი საგნები
- ✓ ფინანსები,დრო და ტრანსპორტი
- ✓ მრავალფეროვანი საგნები
- ✓ ჯარი
- ✓ გარემო
- ✓ არ მაქვს ზუსტი პასუხი
- ✓ არარსებობს

1. **გაქვთ თუ არა სჯსუ-ში თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა**
   - დიახ - 73,3%;
   - ნაწილობრივ - 19,4%;
   - არა - 6,3%.

- ✓ კითხვაზე, გაქვთ თუ არა სჯსუ-ში თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა 6,3% პასუხობს უარყოფითად. საინტერესოა სტუდენტების ასეთი მოსაზრება, რადგან უნივერსიტეტში სწავლა/სწავლება ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, აგრეთვე სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, მობილობაში და სხვ.
- ✓

2. იღებთ თუ არა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად?

- დიახ - 69%;
- ნაწილობრივ - 27,1%;
- არა - 4%.

✓ კითხვაზე, იღებთ თუ არა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, უარყოფითი პასუხის სულ მცირე პროცენტული მაჩვენებელიც კი მოკვლევას საჭიროებს, რადგან უნივერსიტეტს სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმები აქვს შემუშავებული, რომელშიც ჩართლია უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეული, ხოლო რექტორი, ტრადიციულად ყოველთვე (ახლა უკვე ონლაინ რეჟიმში) მართავს რექტორის საათს, რაც ძალიან გვეხმარება კვლევებისას გამოკვეთილ ზოგიერთ საკითხზე უკუკავშირის მისაღებად.

3. გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი კარიერული მხარდაჭერის სერვისებს?

- დიახ - 63,6%;
- ნაწილობრივ - 32,6%;
- არა - 3,8%

✓ კითხვაზე, გთავაზობთ თუ არა უნივერსიტეტი კარიერული მხარდაჭერის სერვისებს, უარყოფითი პასუხის მაჩვენებელი მოულოდნელი იყო, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამასახურის კარიეული განვითარების სპეციალისტი ატარებს დასაქმების ფორუმებს, საკონსულტაციო შეხვედრებს, თემატურ ტრენინგებს და სხვ. საჭიროა სტუდენტების მეტი ინფორმირებულობა რათა აქტიურად ჩაერთონ დაგეგმილ ღონისძიებში.

4. კარიერული მხარდაჭერის რომელ სერვისებს გთავაზობთ უნივერსიტეტი?

- დასაქმების ფორუმი - 31,8%;
- საკონსულტაციო შეხვედრები - 13,2%
- სტაჟირება დამსაქმებლებთან - 20,2%
- თემატური ტრენინგები - 22,6%;

✓ მისასალმებელია, ის ფაქტი, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტები ადასტურებენ იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელიც რეალურად ტარდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამასახურის კარიეული განვითარების სპეციალისტის მიერ.

5. აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში?

- დიახ - 76,7%;
- არა - 23,3%;

✓ კითხვაზე, აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში, საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მიუთითებს, რომ აპირებენ სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, რაც გასული წლების კვლევებითაც დასტურდება. მაგისტრატურის სტუდენტების უმრავლესობა ჩვენი უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულები არიან, რაც უნივერსიტეტისათვის ცალსახად დადებითი მომენტია, ხოლო სტუდენტებისთვის - მოტივაცია.

6. ხართ თუ არა დასაქმებული?

- დიახ - 36,8%;
- არა - 61,2%.

✓ ბაკალავრიატის საფეხურის მხოლოდ 36,8% -ია დასაქმებული.

მიგნებები:
სტუდენტების პასიურობა

ა) კითხვარების შევსებაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელსაც გარკვეული პასიურობა დაფიქსირდა, თუმცა 10 რესპოდენტით მეტი იყო გასულ წელთან შედარებით. ეს გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა მოსაზრებები და სურვილები დარჩებოდა მხოლოდ კითხვარში კომენტარების სახით. მაგრამ, უნივერსიტეტში ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრებული **საუკეთესო პრაქტიკა - რექტორის საათი,** ფაკულტეტის საბჭოებზე მიგნებების განხილვა და უკუკავშირები, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან ერთად ადასტურებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მუშაობის გამჭვირვალობას, რისი ნათელი დადასტურებაცაა კვლევების შედეგად გამოკვეთილი მიგნებების: სტუდენტების მოსაზრებებისა და საჭიროებების მიწოდება რექტორატისთვის და ხელმძღვანელობის მხრიდან აღნიშნულ საკითხებზე მყისიერი რეაგირება.
ბ) რადგან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასახელებული სტუდენტთა ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტებისა და სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღების საშუალებებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება ნაკლებად აქტიური ხასიათისაა, შესაბამისად, კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ორ მნიშვნელოვან რგოლს შორის კომუნიკაცია კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს. აღსანიშნავია, ბოლო პერიოდში სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
გ) კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა ჩართულობა განაპირობებს სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტით კმაყოფილების დონეს, შესაბამისად, რაც უფრო მაღალია სტუდენტთა ჩართულობა, მით უფრო მაღალია მათი საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილების მაჩვენებელი, ხოლო ზოგიერთ ისეთ საკითხზე, როგორიცაა სახელმძღვანელოებზე, კომპიუტერების გამართულ მუშაობაზე, საერთო საცხოვრებლის არ არსებობასა და სხვა საკითხებზე სტუდენტების კომენტარები, აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ ფაკულტეტებსა და შესაბამის ადმინისტრაციულ სამსახურებში და უკუკავშირის მიღებისთანავე მოხდება მყისიერი რეაგირება.